ტემპერამენტისა და სტრესის დაძლევის სტრატეგიების ურთიერთკავშირი

ქეთევან დალინკევიჩ

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია (კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: ქეთევან დალინკევიჩ

ხელმოწერა:

თარიღი: 27.06.2016

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს პიროვნების ტემპერამენტსა და მის სტრესის დაძლევის სტრატეგიებს შორის ურთიერთკავშირის დადგენას.

კველვა არის რაოდენობრივი. გამოიკითხა 106 ადამიანი, მათ შორის 53 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი და 53 - მამრობითის. რესპონდენტები შეირჩა ალბათური მეთოდით. მათი ასაკი განისაზღვრა 19-დან 60 წლის ჩათვლით.

სტრესის დაძლევის სტრატეგიების დასადგენად კვლევაში გამოყენებულია როჯერის ქართულად ადაპტირებული კითხვარი (Coping Style Questionnaire [CSQ]). ამ ინსტრუმენტში გამოყოფილია სტრესის დაძლევის 4 სტრატეგია: რაციონალური, დისტანცირებადი, განრიდებადი და ემოციური.

ტემპერამენტული ტიპის დასადგენად ითარგმნა კირსის „ტემპერამენტის დამხარისხებელი“ კითხვარი (Keirsey Temperament Sorter / Personality Types [KTS]).

კირსის თეორიის მიხედვით, არსებობს ტემპერამენტის 4 ჯგუფი: მცველები, ხელოსნები, იდეალისტები და რაციონალურები. თითოეულ ჯგუფს აქვს 4 ქვეჯგუფი, ანუ ჯამში ტემპერამენტის 16 ტიპი.

კვლევით ნაშრომში განხილულია კავშირი ტემპერამენტის ჯგუფებსა და სტრესის დაძლევის სტრატეგიებს შორის. აღნიშნული ორივე ცვლადი ერთმანეთს დარდება სქესისა და ასაკის ჭრილში. შესაბამისად, ვლინდება თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისათვის, ასევე ნებისმიერი, სხვა ადამიანისთვის, რომელიც დაინტერესებულია პიროვნებასთან დაკავშირებული მეცნიერული საკითხებით.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ტემპერამენტი, სტრესის დაძლევის სტრატეგიები.